ტესტი ისტორიაში

2015

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა ისტორიაში პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.

ტესტი ამოწმებს მასწავლებლის საგნობრივ კომპეტენციასა და საგნის სწავლების მეთოდიკას.

ყურადღებით გაეცანით ტესტის დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი. ყოველ შეკითხვას კონკრეტულად და ამომწურავად უპასუხეთ.

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ტესტის ბუკლეტში არსებული ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელი დამხმარე ისტორიული დისციპლინა შეისწავლის ილუსტრაციაზე გამოსახულ ობიექტს?

ა. ბონისტიკა
ბ. სფრაგისტიკა
გ. პალეოგრაფია
დ. ჰერალდიკა

2. რა მითოლოგიური სიუჟეტია გამოსახული ბერძნულ კერამიკაზე?

ა. ზევსის მიერ ცერბერის შეპყრობა

ბ. ჰერაკლეს მიერ კენტავრის დამარცხება

გ. პერსევსის მიერ მედუზას დატყვევება

დ. თესევსის მიერ მინოტავრის მოკვლა

3. რისი უფლება ჰქონდა სახალხო ტრიბუნს რომის რესპუბლიკაში?

ა. სახალხო კრების მოწვევის

ბ. პლებისციტის ჩატარების მოთხოვნის

გ. კონსულის იმპიჩმენტის დაწყების

დ. სენატის გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების

4. რა დანიშნულებით იგებოდა ფოტოზე გამოსახული ნაგებობა რომის იმპერიის ტერიტორიაზე?

ა. თავდაცვითი

ბ. ტრიუმფალური მსვლელობის

გ. წყალმომარაგების

დ. თეატრალური სანახაობის

5. სხვა მტკიცებულებებთან ერთად, რომელ დოკუმენტს ეყრდნობოდნენ რომის პაპები, როდესაც საერო ძალაუფლებაზეც აცხადებდნენ პრეტენზიას?

ა. იუსტინიანეს ანდერძს

ბ. ხლოდვიგის ორდონანსს

გ. კარლოს დიდის კაპიტულარს

დ. კონსტანტინეს ნაბოძვარს

6. რომელი ისტორიული პიროვნებაა გამოსახული მინიატურაზე?

ა. ელისაბედ I

ბ. მარია სტიუარტი

გ. ჟანა დ'არკი

დ. იზაბელა I

7. რა მოიმოქმედა ანრი IV-მ საფრანგეთის ტახტზე ასვლის სანაცვლოდ?

ა. უფლებები გაუფართოვა გენერალურ შტატებს

ბ. აკრძალა ტამპლიერთა ორდენი

გ. განდევნა ჰუგენოტები

დ. მიიღო კათოლიკობა

8. ძირითადად რომელი კათოლიკური სასულიერო ორდენის წევრები მოღვაწეობდნენ XVII საუკუნის საქართველოში?

ა. კლარისელების

ბ. თეატინელების

გ. კარტეზიანელების

დ. ცისტერციანელების

9. ვის *<u>არ მიუღია</u>* მონაწილეობა აშშ-ის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში XVIII საუკუნეების მეორე ნახევარში?

ა. ბენჯამინ ფრანკლინს

ბ. თომას ჯეფერსონს

გ. აბრაამ ლინკოლნს

დ. ალექსანდრ ჰამილტონს

10. რას გულისხმობდა მონტესკიეს მიერ შემუშავებული დოქტრინა ხელისუფლების დანაწილების შესახებ?

ა. ხელისუფლების თანაბრად გაყოფას სამ: თავადაზნაურობას, სასულიერო და ე.წ. მესამე წოდებას შორის

ბ. ხელისუფლების გადანაწილებას სამ უმაღლეს დაწესებულებას: საბჭოებს, საკონსტიტუციო კრებასა და პარლამენტს შორის

გ. ხელისუფლების დაყოფას ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სამ: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად

დ. ხელისუფლების სავალდებულო დანაწილებას სამ: საშინაო, საგარეო და სამხედრო სფეროებად

11. რომელი დებულებაა მართებული 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის შედეგებთან დაკავშირებით?

ა. ომმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსეთის გენერალიტეტის მაღალი პროფესიონალიზმი, თუმცა დაწყებულმა რევოლუციამ ხელი შეუშალა ომის წარმატებით დასრულებას

ბ. ომის შედეგად რუსეთში საჭირო გახდა პოლიტიკური ცვლილებების განხორციელება, რაც სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნაში გამოიხატა

გ. ომმა წარმოქმნა სერიოზული პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც რევოლუციასა და მონარქიის დამხობაში გადაიზარდა

დ. ომმა ცხადად წარმოაჩინა რუსეთის იმპერიის ეკონომიკური და სამხედრო-ტექნიკური ჩამორჩენა, რაც მარცხის მთავარ მიზეზი იყო

12. რომელმა გენერალმა განახორციელა რუსეთის არმიის ყველაზე წარმატებული შეტევა პირველი მსოფლიო ომის დროს?

ა. ბრუსილოვმა

ბ. კოლჩაკმა

გ. ვრანგელმა

დ. კრასნოვმა

ინსტრუქცია

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

13. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ევროპაში მომხდარი კულტურული მოვლენები:

1. ენციკლოპედისტების მოღვაწეობის დაწყება
2. პირველი ნაბეჭდი წიგნის გამოსვლა
3. პირველი უნივერსიტეტის დაარსება

14. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XVI საუკუნის ევროპაში მომხდარი მოვლენები:

1. ჟან კალვინის მოღვაწეობის დაწყება ჟენევაში
2. ბართლომეს ღამე
3. მარტინ ლუთერის მიერ „95 თეზისის“ გამოქვეყნება

15. ქრონოლოგიურად დაალაგეთ სახელმწიფოები პირველ მსოფლიო ომში ჩაბმის დროის მიხედვით:

1. იტალია
2. ოსმალეთი
3. აშშ

16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ლიტერატურული ნაწარმოებები მათში აღწერილი ეპოქების მიხედვით:

1. კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“
2. ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“
3. ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“

17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართული მხატვრული ფილმები მათში ასახული ეპოქების მიხედვით:

1. ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“
2. თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხე“
3. რეზო ჩხეიძის „ღიმილის ბიჭები“

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 21.

18. ვიცე-კანცლერ ოსტერმანის 1726 წლის მოხსენებითი ბარათი სახელმწიფო საიდუმლო საბჭოს სპარსეთის საქმეების შესახებ

თავის დროზე მოვიდა ცნობა, რომ მირვეისის შვილი აღდგა შაჰის წინააღმდეგ და პორტა აპირებდა ამ საქმეში ჩარევას.

მისმა უდიდებულესობამ ინება სენატში თათბირის მოწყობა სპარსეთში ლაშქრობის დაჩქარებისა და კასპიის ზღვის ნაპირების დაუფლების განზრახვით, თურქების დასასწრებად, რათა ისინი იმ ადგილებში არ გამარგებულიყვნენ.

ამ ლაშქრობაზე ეჭვი რომ არ აღძვროდა, ელჩ ნეპლიუევის მეშვეობით პორტას ეცნობა ლაშქრობისა და მისი მიზეზების შესახებ. ასევე მოეთხოვა, რომ პორტა ამ საქმეებში არ ჩარეულიყო და სპარსეთში ამბოხებულებისათვის თავისი მფარველობა არ გაეწია. თავიდან პორტამ ასეთი პირობა დადო კიდეც. ამასობაში სპარსეთში არეულობა გაძლიერდა. მირვეისის შვილმა ისპაჰანი აიღო, დაამხო მოხუცი შაჰი და სპარსეთში ახალი შაჰი გამეფდა, წინამორბედის შვილი.

რუსეთის სპარსეთში შესვლისას იყო შეთანხმება ქართველებთან და ზოგ სომხურ თემთან, რომლებიც რუსეთის ჯარს შემახაში უნდა შეერთებოდნენ. მართლაც, ცნობების მიხედვით, ისინი შეკრებილნი იყვნენ. თუმცა ეს შეერთება არ შედგა, რადგან 1722 წელს რუსული ჯარისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა შემახამდე მისვლა. ამის გამო იმ ხალხებში გარკვეული დაბნეულობა გაჩნდა. ამას თან დაერთო შაჰ თამაზის მიერ პრინც ვახტანგის ადგილზე მმართველად კახეთის ხანის დადგენა.

რუსეთის სპარსეთში მოქმედებების დროს პორტამ დაივიწყა თავისი დაპირება და უკვე აშკარა ჩარევა დაიწყო მის საქმეებში. შეკრიბა ჯარები სპარსეთის საზღვრებთან და ლეკები თავის მფარველობაში აიყვანა. გამოაგზავნა ელჩი მის საიმპერატორო უდიდებულესობასთან, რათა გამოეცხადებინა ლეკების მფარველობის შესახებ და მოეთხოვა რუსეთის ჯარის სპარსეთიდან გაყვანა. ასევე მოვიდა შეტყობინება, რომ შაჰ თამაზმაც გამოაგზავნა თავისი ელჩი.

თურქეთის წარმოგზავნილი 1723 წლის იანვარში ჩამოვიდა, მისი უდიდებულესობის სპარსეთის ლაშქრობიდან დაბრუნებისას და უკან გაბრუნდა თანხმობით: რომ შეწყნარებულია რუსეთის მხრიდან ლეკებზე ხელის აღება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პორტაც ხელს აიღებს ქართველებზე.

ვინაიდან ყველაფრიდან ჩანდა, რომ სპარსეთის ამბების გამო პორტასთან ომი შესაძლებელი იყო, ბრძანება გაიცა საზღვრებზე ყურადღებით ყოფნის შესახებ. თურქებისთვის რომ დაესწროთ, გარკვეული ჯარი გაიგზავნა გილანისა და ბაქოს დასაუფლებლად.

ამ დროს, 1723 წელსვე სანკტ-პეტერბურგში მოვიდა შაჰ თამაზის ელჩი და დაიდო ხელშეკრულება მასთანაც. მაგრამ ამასობაში, კახეთის ხანის მიერ პრინც ვახტანგის წინააღმდეგ მიწვეულმა არზრუმის თურქმა ფაშამ საქართველო დაიპყრო, ხოლო თურქებმა სპარსეთში დიდი ძალებით დაიწყეს მოქმედება. პორტა იმ აზრის იყო, რომ სპარსეთი მთლიანად მას ეკუთვნოდა და მისი უდიდებულესობის ჯარს ეს ყოველმხრივ უნდა გაეთვალისწინებინა.

1724 წლის ივნისში პორტასთან ტრაქტატი დაიდო, რომლის მიხედვითაც მის უდიდებულესობას: 1) კომისრები უნდა დაენიშნა სპარსეთში მიწების გასამიჯნად; 2) გამოეცხადებინა შაჰისთვის ამ ტრაქტატის შესახებ და დაეთანხმებინა მის აღიარებაზე; 3) წინააღმდეგ შემთხვევაში კი იძულებით დაეყოლიებინა.

გენერალი რუმიანცევი გაიგზავნა პირველ კომისრად, თურქეთის კომისრებთან ერთად და მიეცა დეტალური ინსტრუქცია. ამ დრომდეც ისე ჩანს, რომ პორტა აპირებს ამ ტრაქტატის დაცვას.

მოვიდა ცნობა, რომ შაჰ თამაზმა მის ელჩთან გაფორმებული ხელშეკრულება არათუ არ წაიკითხა, არამედ რუსი ელჩი უპატიოდ გამოაძევა უკან. გენერალ-პორუჩიკ მატიუშკინს ებრძანა, სპარსეთის მიერ დათმობილი ყველა პროვინცია, განსაკუთრებით - გილანი, მაზანდარანი და ასტრაბადი - გაემაგრებინა, იქ მუსლიმები მისაღები ხერხებით შეემცირებინა და ქრისტიანები ჩაესახლებინა.

ბოლო უწყებების მიხედვით, საქმეები იქ არახელსაყრელ და სახიფათო მდგომარეობაშია. გილანში მყოფმა ჯარმა არათუ წინ ვერ წაიწია, თავისი თავის შენახვაც უჭირს. მის წინააღმდეგ საყოველთაო აღშფოთების გარდა, მრავალი სპარსი მეომარიც იკრიბება; შაჰის დიდძალი ჯარი აპირებს ბაქოსკენ წასვლას; უსმეი, სურხაი, შამხალი, მაკსუი და დარუბანდის ნაიბი შეთანხმდნენ, ამოწყვიტონ დარუბანდში რუსები და სომხები.

ასეთ მდგომარეობაშია ახლა სპარსეთის საქმეები, რასთან დაკავშირებითაც შემდეგ საკითხებზე უნდა გვქონდეს განსჯა:

1. პორტასთან დამყარებული ტრაქტატის ძალით საჭიროა შაჰ თამაზის დათანხმება მის აღიარებაზე, ანდა პორტასთან ერთად სხვა შაჰის დადგენა.

2. პორტამ ტრაქტატის დარღვევით არ იმოქმედოს და სპარსეთის მეტ ნაწილს არ დაეუფლოს.

3. შაჰ თამაზი თურქების ძლიერი შეტევისას მათკენ არ გადაიხაროს.

4. თურქებმა, თუ დაინახეს იმ მხარეში რუსეთის სისუსტე, იქაურ ხალხებთან შეერთებით არ შეეცადონ სპარსეთიდან რუსეთის სრულ გამოძევებას.

არის მხოლოდ ორი გზა, რადგან მესამე - საერთოდ უგულებელვყოთ სპარსეთის საქმეები - წარმოუდგენელია, რადგან იქიდან ჭიშკარია რუსეთის შუაგულისკენ.

შეტევითი მოქმედება: სპარსეთისგან დათმობილ და ყველა დანარჩენ პროვინციას დავეუფლოთ და შაჰ თამაზი დავამხოთ.

თავდაცვითი მოქმედება: სხვა პროვინციების დაუფლება დროებით გადავდოთ, დაპყრობილებში განვმტკიცდეთ და დავმკვიდრდეთ. თურქების ქმედებებს თვალყური ვადევნოთ და შაჰ თამაზი ყველა საშუალებით ვაიძულოთ, აღიაროს ტრაქტატი.

ამ ორიდან რომელი გზაც უფრო მართებული იქნება, მისი დაწვრილებით აღწერა შემდეგ შედგება.

კითხვები:

(2) 18.1. რომელი სახელმწიფოს რომელ კონკრეტულ მმართველს გულისხმობს ოსტერმანი სიტყვებში: „მისმა უდიდებულესობამ ინება სენატში თათბირის მოწყობა“?

(1) 18.2. რომელ ხალხს სარდლობდა მირვეისის შვილი, რომელიც აღდგა შაჰის წინააღმდეგ?

(1) 18.3. რომელ დინასტიის წარმომადგენელი იყო შაჰ თამაზი?

(1) 18.4. ტექსტის მიხედვით, რით იყო გაპირობებული „მისი უდიდებულესობის“ მიერ სპარსული ლაშქრობის დაჩქარება?

(1) 18.5. რომელი კონკრეტული პიროვნებაა ტექსტში ნახსენები „კახეთის ხანი“?

(1) 18.6. დოკუმენტის მიხედვით, „აიღო თუ არა პორტამ ხელი ქართველებზე“? პასუხი დაასაბუთეთ მხოლოდ დოკუმენტში არსებული ინფორმაციით.

(2) 18.7. წყაროს მიხედვით, რომელ სახელმწიფოებს შორის უნდა მომხდარიყო "მიწების გამიჯვნა" სპარსეთში და რის საფუძველზე?

(3) 18.8. დოკუმენტის მიხედვით, დაასახელეთ სამი ფაქტორი, რომელიც, უკანასკნელი ცნობების თანახმად, საფრთხეს უქმნიდა სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობისას მიღწეული შედეგების შენარჩუნებას.

(1) 18.9. ჩამოაყალიბეთ ოსტერმანის მიერ საიდუმლო საბჭოსათვის წარდგენილ განსასჯელ საკითხთა უმთავრესი არსი.

(2) 18.10. ოსტერმანის აზრით, რატომ არ შეეძლო რუსეთს თავი დაენებებინა სპარსეთის საქმეებისათვის და თქვენ რომ მოგესმინათ ოსტერმანის მოხსენება შეტევით მოქმედებას დაუჭერდით მხარს, თუ - თავდაცვითს? მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ კონკრეტული არგუმენტით.

(2) 18.11. თქვენი აზრით, რატომ ებრძანა გენერალ-პორუჩიკ მატიუშკინს შეემცირებინა მუსლიმები ხაზგასმულად „მისაღები ხერხით“ და რა შეიძლებოდა ჩათვლილიყო ამგვარ „მისაღებ ხერხად“?

(4) 18.12. საგარეო პოლიტიკური არჩევანის რა ალტერნატივები გააჩნდა „პრინც ვახტანგს“ „მისი უდიდებულესობის“ სპარსეთში ლაშქრობის დაწყების წინ და თქვენ რომ „პრინც ვახტანგის“ ქვეშევრდომი ყოფილიყავით, რას ურჩევდით მას? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად.

ინსტრუქცია
ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი დავალება და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

19. სადისკუსიო თემის განსაზღვრა

(1) 19.1. საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული რომელი კონკრეტული თემის განხილვისას გამოიყენებდით ვიცე-კანცლერ ოსტერმანის მოხსენებით ბარათს, როგორც წყაროს?

(1) 19.2. გაკვეთილზე განსახილველი თემის უმთავრესი საკითხის გათვალისწინებით, ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემის სათაური.

(2) 19.3. ჩამოაყალიბეთ ორი ალტერნატიული პოზიცია, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დისკუსიისას.

(1) 19.4. დაასახელეთ ორი კრიტერიუმი, რომლითაც შეაფასებდით დისკუსიის შედეგებს.

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი დავალება და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

20. მოცემულ რუკაზე დაყრდნობით მოსწავლეს უნდა ეპასუხა შემდეგ კითხვებზე:

ა) აღმოსავლეთში არსებული რომელი სახელმწიფო გაანადგურეს არაბებმა თავისი ლაშქრობების დროს?

ბ) რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ეგვიპტე არაბთა ლაშქრობების დაწყებამდე და რა პერიოდში დაიპყრეს ის არაბებმა?

გ) რომელი სამეფო დაიპყრეს არაბებმა ევროპაში?

(2) 20.1. მოსწავლემ ვერ დაასახელა აღმოსავლეთში არსებული სახელმწიფო, რომელიც არაბებმა თავისი ლაშქრობების დროს გაანადგურეს. ჩამოაყალიბეთ რუკასთან დაკავშირებული ორი თანმიმდევრული, კონკრეტული დავალება, რომელსაც მოსწავლეს გაკვეთილზე მისცემდით, რათა მან მართებულად უპასუხოს კითხვას.

(3) 20.2. მოსწავლემ ვერ განსაზღვრა, თუ რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ეგვიპტე არაბთა ლაშქრობების დაწყებამდე და რა პერიოდში დაიპყრეს ის არაბებმა. ჩამოაყალიბეთ რუკასთან დაკავშირებული სამი თანმიმდევრული, კონკრეტული დავალება, რომელსაც მოსწავლეს გაკვეთილზე მისცემდით, რათა მან მართებულად უპასუხოს კითხვებს.

(1) 20.3. კითხვაზე - რომელი სამეფო დაიპყრეს არაბებმა ევროპაში? - მოსწავლემ უპასუხა, ესპანეთის. მართებულია თუ არა მოსწავლის პასუხი? საკუთარი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

(1) 20.4. არაბთა დაპყრობებთან დაკავშირებული თემატიკის გარდა, კიდევ რომელი საკითხის შესწავლისას გამოიყენებდით ამ რუკას? პასუხი აუცილებლად დაასაბუთეთ.


არაბთა სახალიფო VII-VIII საუკუნეებში
ბიზანტიის იმპერია არაბთა ლაშქრობების დაწყებამდე
არაბთა სახელმწიფოს ტერიტორია 630 წ.
პირველი ხალიფების დროს დაპყრობილი ტერიტორიები (661 წ.)
არაბთა სახალიფო ომეიადების დროს (661-750 წწ.)
ლანგობარდების სამეფო
ტომები
ისტორიული მხარე
ლაშქრობათა მიმართულებები
762-836
ლაშქრობათა თარიღები
641
ბრძოლის ადგილები და თარიღები
350 0 350 700 კმ.
ფრანკების სამეფო
ვესტგოთების სამეფო
ბულგარეთის სამეფო
ბიზანტიის სამეფო
ხაზართა ხაკანატი
სასანიანთა სახელმწიფო
ალბები
ავარები
ბალტები
ხალიფები
ტოლედო
ფრანკფურტი
ბაღდადი
ქტესიფონი
დამასკი
იერუსალიმი
ალექსანდრია
კონსტანტინოპოლი
ეგვიპტე
ლიბია
ალჟირი
ტუნისი
ნუბია
ეთიოპია
ადენი
ზღვა
ოკეანე

655047

ინსტრუქცია

მოცემული დავალება უკავშირდება სასწავლო პროცესის დაგეგმვას. გაეცანით მოცემულ პირობას, უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 10.

21. გაკვეთილის დაგეგმვა

თქვენი მიზანია ისე დაგეგმოთ სასწავლო რესურსების გამოყენების თანმიმდევრობა, რომ მოსწავლეებმა დამოუკიდებლად, ***თქვენი ახსნა-განმარტების გარეშე,*** განიხილონ ბერძენ-სპარსელთა ომებთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხი.





რესურსი N 3

ძვ.წ. VI საუკუნის მიწურულს აქემენიანთა იმპერიის შემადგენლობაში შემავალი მცირე აზიის ნახევარკუნძულზე მდებარე ბერძნული პოლისების ნაწილი აჯანყდა. აჯანყებულებს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოებიდან მხოლოდ ერთმა დაუჭირა მხარი და მათ დასახმარებლად მეომრები გაგზავნა. აჯანყება ბერძნების მარცხით დასრულდა. ცოტა ხანში სპარსეთის მეფემ, დარიოს I-მა ლაშქრობა წამოიწყო. მისი სამხედრო ძალები, რომელიც სხვადასხვა ეროვნების მეომრებს აერთიანებდა, 25 000 ქვეითისა და 1000 მხედრისაგან შედგებოდა. ისინი ხომალდებით მიადგნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ნაპირებს და ხმელეთზე გადმოსულნი იქვე დაბანაკდნენ. ბერძნებიც მილტიადესის მეთაურობით ბრძოლისთვის ემზადებოდნენ. მათ ბრძოლის ველზე გრძელი შუბებითა და დიდი ფარებით შეიარაღებული 10 000 ჰოპლიტი გამოიყვანეს.

<u>**კითხვები:**</u>

(1) 21.1. დაასახელეთ ბერძენ-სპარსელთა ომებთან დაკავშირებული კონკრეტული საგაკვეთილო საკითხი, რომლის შესწავლასაც დაგეგმავდით მოცემული რესურსების გამოყენებით ერთი გაკვეთილის განმავლობაში.

(2) 21.2. განსაზღვრეთ გაკვეთილის მიზანი:

ა) რა ცოდნა უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა გაკვეთილზე?

ბ) რომელი ერთი კონკრეტული სასწავლო უნარ-ჩვევის განვითარებას შეეცდებით მოსწავლეებში?

(2) 21.3. დაასახელეთ ზემოთ აღნიშნული რესურსებიდან ერთი, რომელსაც გამოიყენებთ გაკვეთილის საწყისს ეტაპზე; უპასუხეთ: ა) რა მიზნით გამოიყენებთ თქვენ მიერ არჩეულ რესურსს? ბ) რა დავალებას მისცემთ მოსწავლეებს არჩეული რესურსის გამოყენებით?

(2) 21.4. დაასახელეთ რესურსი, რომლითაც გააგრძელებთ სასწავლო პროცესს. უპასუხეთ: ა) რა მიზნით გამოიყენებთ თქვენ მიერ არჩეულ რესურსს? ბ) რა დავალებას მისცემთ მოსწავლეებს არჩეული რესურსის გამოყენებით?

(2) 21. 5. დარჩენილი მესამე რესურსის მიხედვით, უპასუხეთ: ა) რა მიზნით გამოიყენებთ ამ რესურსს? ბ) რა დავალებას მისცემთ მოსწავლეებს ამ რესურსის გამოყენებით?

(1) 21.6. დაასახელეთ, რა შემაჯამებელ დავალებას მისცემთ მოსწავლეებს გაკვეთილზე სამივე რესურსის გამოყენებით?

ინსტრუქცია

მოცემული დავალება უკავშირდება მოსწავლის ნაშრომის შეფასებას. ამ დავალების შესასრულებლად გეძლევათ:

1) მოსწავლისათვის გასაანალიზებლად მიცემული ტექსტი (ისტორიული წყარო) თანდართული კითხვებით;

2) მოსწავლის მიერ ამ კითხვებზე გაცემული პასუხები;

3) შეფასების სქემა, რომლითაც უნდა შეაფასოთ მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები.

ყურადღებით გაეცანით ისტორიულ წყაროს, დასმულ შეკითხვებს და მოცემული შეფასების სქემის მიხედვით მიანიჭეთ ქულები მოსწავლის პასუხებს.

პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

22. პოლკოვნიკი ბურნაშოვი საქართველოს შესახებ

საქართველოში და კავკასიის ქალაქებში, მათ შორის, ერევანსა და განჯაში, რომლებიც საქართველოს მეფის დაქვემდებარებაში შედიან, ქართველები, სომხები, ბერძნები, მაჰმადიანები, სხვადასხვა მთიელი ხალხი და ქურთები საქართველოს სრულიად რუსეთის ტახტის უმაღლესი მფარველობის ქვეშ შემოსვლისას მოითვლებოდა 42 000 კომლი.

საქართველოში ქართველებს შორის სამი წოდებაა: სასულიერო, თავადაზნაურობა და მხვნელ-მთესველები; პირველი, უმეტეს წილად, შედგება კეთილშობილებისგან. სომხებს შორის: თავადაზნაურები, ხელოსნები და მხვნელ-მთესველები. ბერძნებს შორის: ხელოსნები, უმეტეს წილად მადნის მთხრელები, რომლებიც ამარაგებენ ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის სამეფო ქარხნებს. მაჰმადიანებს შორის: ჩინოსანთა საგვარეულოები, ხელოსნები, მხვნელ-მთესველები. მათი ნაწილი მომთაბარეები არიან, მტაცებლები და მეტად მიდრეკილი გახლავან ომისკენ. ქურთები მომთაბარე ხალხია.

მესაქონლეობა მთელს საქართველოში ლეკთაგან თარეშის გამო დიდი არ არის, ცხენსაშენები პატარაა და ყურადღებას არ იმსახურებს. პური საკმარისია, განსაკუთრებით ყაზახსა და შამშადილში, კარგი ყუათიანობისა და თვისებების. ბრინჯი უხვადაა, ასევე - ფეტვი, ქერი და სიმინდი. ბამბა საკმარისია. სელი ბევრი არ არის, თესენ მხოლოდ ზეთის გამოსახდელად. აბრეშუმი მეტად ბევრია, მხოლოდ საშუალო ხარისხისა.

ოქროსა და ვერცხლის მადნები საკმარისადაა, განსაკუთრებით ბევრი სპილენძის მადანია მთებში, რომლებიც ჰყოფს საქართველოს ერევნისგან. მათ გამოიმუშავებენ ბერძნები. რკინა ცოტაა და ცუდი, იყენებენ რუსეთიდან ჩამოტანილს, ყიდულობენ რა მას ხუთჯერ უფრო

ძვირად. ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები ცუდია და ხელოვნებას მოკლებული. არ იციან მათი შერევა სხვა ლითონებთან. სპილენძის ნაკეთობები კარგია, ფოლადისა საშუალოა. რკინის ნაკეთობებს აკეთებენ კალასთან შერევით. არის აბრეშუმისა და ბამბის ხელის პატარა ფაბრიკები. უკანასკნელები ძალზედ ცოტაა.

ვაჭრები მიემგზავრებიან სპარსეთსა და ინდოეთში რუსეთიდან ჩამოტანილი არცთუ დიდი რაოდენობის საქონლით. ხოლო იქიდან ქარავნებით მოაქვთ აბრეშუმის, ბამბის, სპარსული და ინდური მატერიები, ასევე ფაიფურის ჭურჭელი. მათ დიდი ვაჭრობა აქვთ მთიელ და სპარსელ მეზობლებთან საკუთარი ნაწარმით: სპილენძის ჭურჭლით, ბამბის ქსოვილებით, ცხენის მოსართავებით, ხმლებითა და ხანჯლებით, რკინის მცირე საგნებით, ტანსაცმლით, ქუდებითა და ფეხსაცმლით. ყოველივე ამის მიმოტანის საქმეში მთელი კავკასიელი ხალხები და მათი მეზობლები ტფილისელი სომხების შრომისმოყვარეობით სარგებლობენ. სავაჭროები ლამაზი საქონლით, ხელით ნაკეთობებითა და სასურსათო მარაგებით ტფილისში 500-მდეა.

სარწმუნოების წესები და ჩვეულებები ქართველებში ბერძნულია, ღვთისმოშიშების გარეგნულ გამოხატვას გამოავლენენ გულმოდგინედ, მარხვების შენახვას - უზომოდ. ეკლესიები და მონასტრები გაჩანაგებულია. სასულიერო წოდებას გააჩნია საკმარისი ძალაუფლება და პატივისცემა. მათი ხმა სამეფო საბჭოში მნიშვნელოვანია. მთავარი უფროსობა სასულიერო წოდებაზე გააჩნია კათოლიკოსს ანუ უპირველეს მთავარეპისკოპოსს.

სომხები მიჰყვებიან გრიგორიანულ გადმოცემას. თავიანთ ეკლესიებს ინახავენ სისუფთავეში და საკმარისად აქვთ მორთული. ტფილისში არის კათოლიკეების 30-მდე ოჯახი. მათ ჰყავთ თავიანთი პატრები, რომლებსაც გზავნიან რომიდან. ეს პატრები აღასრულებენ მედიკოსების თანამდებობებს და ყოველთვის ძალზედ ახლოს არიან ხოლმე სამეფო კართან. მათ ააშენეს ტფილისში უზარმაზარი კათოლიკური ქვის ეკლესია, ევროპული ნიმუშის მიხედვით, მაგრამ მეფემ იგი გადააკეთებინა ბერძნული აღმსარებლობის ეკლესიად. ბერძნებს გააჩნიათ საკუთარი ეკლესიები, რომლებიც არ არის მდიდარი.

მაჰმადიანებს სარწმუნოების აღსრულება არ ეკრძალებათ. ტფილისში მათ აქვთ სამი მეჩეთი. თითოეული მათგანი გარკვეულ ვალდებულებაში იმყოფება ქართულ ეკლესიებთან, კისრულობენ ერთი-მეორის დაცვას დარბევისაგან. იქ ჩვენი ჯარების ყოფნის უკანასკნელ ხანს მაჰმადიანებს ნება ეძლეოდათ თავიანთი მორწმუნეები მეჩეთებში მიეწვიათ მათი ჩვეულებისდა მიხედვით.

ქურთები წარმართები არიან და ცხოვრობენ თითქმის სარწმუნოების გარეშე, ზოგიერთები აღიარებენ მაჰმადიანურ სარწმუნოებას. მთიელი ხალხები: ძურძუკები, ხევსურები, ფშავლები,

ემორჩილებიან მეფეს და გააჩნიათ ბერძნული სარწმუნოება.

<u>კითხვები</u> (**რომლებზეც მოსწავლეს უნდა ეპასუხა):**

22.1. რა კონკრეტული მოვლენა იგულისხმება „საქართველოს სრულიად რუსეთის ტახტის უმაღლესი მფარველობის ქვეშ შემოსვლაში“?

22.2. წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე ახსენით, რატომ ფასობდა რკინა ამ ქვეყანაში ძვირად?

22.3. წყაროს მონაცემების საფუძველზე, ძირითადად ვინ მისდევდა ვაჭრობას საქართველოში?

22.4. რა იგულისხმება „ბერძნულ სარწმუნოებაში“?

22.5. წყაროს მიხედვით, კონკრეტულად რაში გამოიხატება სასულიერო წოდების ძალაუფლება?

22.6. წყაროში არსებული რომელი ორი კონკრეტული ფაქტი მიუთითებს იმდროინდელ საქართველოში რელიგიურ შემწყნარებლობაზე?

22.7. წყაროს მიხედვით, ვინ ასრულებდა საექიმო საქმიანობას?

22.8. წყაროს მონაცემების საფუძველზე, ჩამოთვალეთ რომელი აღმსარებლობის მიმდევრები სახლობდნენ საქართველოში, ქრისტიანების გარდა?

22.9. წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ყველა სახელმწიფო, რომელშიც დადიოდნენ ადგილობრივი ვაჭრები სავაჭროდ.

22.10. რომელ ქართულ სახელმწიფოში არსებული ვითარებაა აღწერილი წყაროში?

<u>**მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:**</u>

22.1. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება

22.2. შემოჰქონდათ უცხოეთიდან

22.3. კავკასიელი ხალხები

22.4. მართლმადიდებლობა

22.5. მთავარი უფროსობა სასულიერო წოდებაზე გააჩნია კათოლიკოსს

22.6. სასულიერო წოდებას გააჩნია საკმარისი ძალაუფლება; მაჰმადიანებს სარწმუნოების აღსრულება არ ეკრძალებათ

22.7. კათოლიკე პატრები

22.8. მაჰმადიანური; გრიგორიანული

22.9. ჩრდილოეთ კავკასიაში; სპარსეთში; ინდოეთში

22.10. ქართლ-კახეთის

<u>შეფასების სქემა, რომლითაც უნდა შეაფასოთ მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:</u>

მხოლოდ დადებითი შეფასების დაწერისას, პასუხების ფურცელში <u>აუცილებლად გადმოწერეთ</u> მოსწავლის პასუხი ან პასუხის ის ნაწილი, რომელიც დადებითად შეაფასეთ

0 (ნული) ქულის დაწერისას, პასუხების ფურცელში <u>*არ გადმოწეროთ*</u> მოსწავლის პასუხი

22.1	სწორი პასუხი ფასდება **1 ქულით**
22.2	სწორი პასუხი ფასდება **1 ქულით**
22.3	სწორი პასუხი ფასდება **1 ქულით**
22.4	სწორი პასუხი ფასდება **1 ქულით**
22.5	სწორი პასუხი ფასდება **1 ქულით**
22.6	**თითოეული სწორი ფაქტის** დასახელება ფასდება **1 ქულით**
22.7	სწორი პასუხი ფასდება **1 ქულით**
22.8	**თითოეული სწორად** დასახელებული **აღმსარებლობა** ფასდება **1 ქულით**
22.9	**თითოეული სწორად** დასახელებული **სახელმწიფო** ფასდება **1 ქულით**
22.10	სწორი პასუხი ფასდება **1 ქულით**

სწორი პასუხები

1-17 - თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება

1. დ
2. დ
3. დ
4. გ
5. დ
6. გ
7. დ
8. ბ
9. გ
10. გ
11. დ
12. ა
13. 321
14. 312
15. 213
16. 213
17. 231

18. სულ 21 ქულა

18.1. რუსეთის იმპერიის - 1ქულა; პეტრე I-ს -1 ქულა

სულ 2 ქულა

18.2. ავღანელებს -1ქულა

18.3. სეფიანებს -1 ქულა

18.4. თურქების დასასწრებად - 1ქულა

18.5. კონსტანტინე II - 1 ქულა

18.6. არა, რადგან „არზრუმის ფაშამ საქართველო დაიპყრო“ – 1 ქულა

18.7. თურქეთსა//პორტასა და რუსეთს შორის -1 ქულა; პორტასთან დადებული ტრაქტატით - 1 ქულა

სულ 2 ქულა

18.8. დოკუმენტის მიხედვით დასახელებული 3 სწორი ფაქტორი - სულ 3 ქულა

18. 9. პორტასთან დადებული ტრაქტატის განხორციელების უზრუნველყოფა//ირანში რუსული გავლენის გამყარება - 1 ქულა

18.10. “საერთოდ უგულებელვყოთ სპარსეთის საქმეები წარმოუდგენელია, რადგან იქიდან ჭიშკარია რუსეთის შუაგულისაკენ“ -1 ქულა, ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას -1 ქულა

სულ 2 ქულა

18.11. ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - სულ 2 ქულა

18.12. მოკავშირეობა რუსეთთან - 1 ქულა; თურქეთთან - 1 ქულა; ირანთან - 1 ქულა; ნებისმიერი ლოგიკური არგუმენტი - 1 ქულა; სულ 4 ქულა

19. სულ 5 ქულა

19.1 . ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა
19.2 . ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტორივ შეცდომას - 1 ქულა
19.3 . ნებისმიერი 2 ალტერნატიული//ადეკვატური პოზიცია, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 2 ქულა
19.4 . ნებისმიერი 2 ლოგიკური კრიტერიუმი - 1 ქულა

20. სულ 7 ქულა

20.1. სასწავლო მიზნის თემასთან ლოგიკურად დაკავშირებული 2 თანმიმდევრული, კონკრეტული დავალება რუკაზე - 2 ქულა
20.2. სასწავლო მიზნის თემასთან ლოგიკურად დაკავშირებული 3 თანმიმდევრული, კონკრეტული დავალება რუკაზე - 3 ქულა
20.3. პასუხი არასწორია, რადგან რუკაზე აღნიშნულია ვესტგოთების სამეფო - 1 ქულა
20.4. ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

21. სულ 10 ქულა

21.1. მარათონის ბრძოლა - 1 ქულა

21.2. ა) ნებისმიერი ადეკვატური პასუხი -1 ქულა, ბ) ნებისმიერი ადეკვატური პასუხი - 1 ქულა

სულ 2 ქულა

21.3.რესურსის დასახელება ადეკვატური დასაბუთებით -1 ქულა; ნებისმიერი ადეკვატური დავალება - 1 ქულა; სულ 2 ქულა

21.4. რესურსის დასახელება ადეკვატური დასაბუთებით -1 ქულა, ნებისმიერი ადეკვატური დავალება -1 ქულა; სულ 2 ქულა

21. 5. რესურსის დასახელება ადეკვატური დასაბუთებით -1 ქულა, ნებისმიერი ადეკვატური დავალება -1 ქულა; სულ 2 ქულა

21.6. ნებისმიერი ადეკვატური შემაჯამებელი დავალების დასახელება - 1 ქულა

22. - სულ 10 ქულა

	მოსწავლის ნაშრომის შეფასების სქემა		
N	მასწავლებლის მიერ		მასწავლებლის მიერ მიღებული ქულა
	დაწერილი ქულა	გადმოწერილი პასუხი	
22.1	0	---------	1 ქულა
22.2.	1	შემოჰქონდათ უცხოეთიდან	1 ქულა
22.3	0	--------	1 ქულა
22.4	1	მართლმადიდებლობა	1 ქულა
22.5.	0	----------	1 ქულა
22.6.	1	მაჰმადიანებს სარწმუნოების აღსრულება არ ეკრძალებოდათ	1 ქულა
22.7	1	კათოლიკე პატრები	1 ქულა
22.8	1	მაჰმადიანები	1 ქულა
22.9	2	სპარსეთი, ინდოეთი	1 ქულა
22.10	1	ქართლ-კახეთი	1 ქულა